ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2452406

ნომერი: AR1378777

თარიღი : 16.02.2016

გაცემის თარიღი : 25.02.2016

გაცნობის თარიღი : 25.02.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი, დ.დიღმის გზის მიმდ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიადი კვეზერელი პ/ნ 13001016761
- გურჯაანი ერეკლე II ქ. N 35

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  კორექტირება
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  კორექტირება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი

განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: სამსახურის მიერ №2443877 გადაწყვეტილებით დაგევალათ დოკუმენტაციის წარმოდგენა, ასევე ამავე გადაწყვეტილებით ინფორმირებული იყავით, რომ სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩებოდა განუხილველი. ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის დროს გამოვლინდა ახალი გარემოება, კერძოდ: ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს მსგავსი სახით სარეკლამო აბრების მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. იგი საკმაოდ გადატვირთული სახის მატარებელია და ჭრელი, სასურველია უფრო სადა, დახვეწილი სახით მისი შემუშავება, მხატვრულ ვიზუალური ელფერის სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, ასევე აბრებზე მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის სიმბოლოების განთავსება, შესაბამისად საჭიროა შემუშავდეს განახლებული ფოტომონტაჟი, რაც უნდა იქნას ატვირთული ახალი განცხადებით, ხოლო ამ ეტაპზე წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.